ა(აიპ) მედია ცენტრი „ღია აფხაზეთისთვის“ მის კუთვნილ წალენჯიხის და ჩხოროწყუს ზონაში მოქმედ მულტიპლექსურ პლატფორმაზე ადგილობრივი და სხვა საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

თბილისი

2017 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია წალენჯიხის და ჩხოროწყუს ზონებში მოქმედი ადგილობრივი და სხვა საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი").

წალენჯიხის და ჩხოროწყუს ზონებში მოქმედი მულტიპლექსურ პლატფორმაზე ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. მომსახურება იწარმოება DVB-T (EN 300 744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროების MPEG4 (H.264 – ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით; ამასთან ქსელში DVB-T (მოდულაციის ტიპი: COFDM 8k, 64 CAM, Coding Rate: 2/3, Guard interval: 1/8) პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს მაღალი გარჩევადობისთვის (HD) არანაკლებ 7 მგბტ/წმ და არაუმეტეს სასურველია 12.118 მგბტ/წმ-ისა, ხოლო სტანდარტული გარჩევადობისთვის (SD) არანაკლებ 2.15 მგბტ/წმ-ისა; ორივე მულტიპლექს პლატფორმის გამტარუნარიანობის ჯამური რესურსია - 24 მგბტ/წმ თითოეული გადამცემისთვის.
   ორივე პლატფორმის ფუნქციონირებისათვის გამოიყენება დექსინგის DS DVB - DEXING ფირმის წარმოების 4 არხიანი ენკოდერები და DVB-T მოდულატორები. წალენჯიხაში მუშაობს 300 ვატიანი სიმძლავრის ვიგინტოს ელექტრონიქსის ფირმის - VIGINTOS ELEKTRONIKA წარმოების გადამცემი 200 ვატის სიმძლავრეზე, ხოლო ჩხოროწყუში PCS Electronics 200W VHF TV გადამცემი 65 ვატის სიმძლავრეზე. (ჩხოროწყუს მულტიპლექსში არხების სიმცირის (სულ 2 არხი) და გადამცემის დაბალი სიმძლავრის გამო სარეზერვოდ გამოიყენება აგრეთვე მონაცემთა შემჭიდროების MPEG 2 - ის ტექნოლოგია - Terra MDX420 DVB-T 2XAV/COFDM encoderand RF modulator ენკოდერ-მოდულატორით და Terra Broadband Amplifier BA-214 გამაძლიერებლით).
2. ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდების და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქალაქი ჩხოროწყუ, გობეჩიას ქუჩა №5; ქალაქი წალენჯიხა, ზუგდიდის ქუჩა (უნომრო მაღლობი).
3. აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის მე-2 პუნქტში აღნიშნულ მისამართებამდე.
4. ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა: (მინიმალური მოთხოვნები) ციფრული ინტერფეისი - SDI ან HDMI სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი (ემბედირებული) აუდიო სიგნალით;
5. „ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია: ღია ეთერით 1 მგბტ/წმ-ით გავრცელებისთვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 1მგბტ/წმ - 325.58 (სამასოცდახუთი ლარი და ორმოცდათვრამეტი თეთრი) ლარის დღგ-ს ჩათვლით (2.15 მგბტ/წმ - 700 ლარი დღგ-ს ჩათვლით).
6. „ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:

   „აქცეპტანტი" ვალდებულია წარადგინოს:
   - ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
   - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
   - უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;
   - წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა;
7. ოფერტის მოქმედების ვადა: წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2017 წლის 01 მარტიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე - 2018 წლის 01 მარტამდე.

ა(აიპ) მედია ცენტრი „ღია აფხაზეთისათვის"
გამგეობის თავმჯდომარე: გიორგი კორახაშვილი